ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №106 (კრიზ14-)

ქ. თბილისი "30" " ნოემბერი" 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო" წარმოდგენილი - მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლოზ დიდიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „კოპოს ელექტრო" წარმოდგენილი - მისი დირექტორის ადოლფ ტურეკის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად და შემსყიდველის მიერ გამარტივებული შესყიდვის პროცედურის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი

1.1. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს:
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N637 განკარგულება;
- სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს" მიერ 2015 წლის 05 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ **სხვადასხვა დასახელების საქონლის** (შემდგომში „საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 443 00000 კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები.

2.3 მისაწოდებელი საქონლის დასახელება, განზომილება, რაოდენობა ერთეულის ფასი და სრული ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სრული ღირებულება შადგენს 3532,30 (სამი ათას ხუთას ოცდათორმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის მიწოდების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ის ჩათვლით.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს ,,4.1 პუნქტში" მითითებულ ვადაზე ადრეც.

4.3 საქონლის გატანას მიმწოდებლის საწყობიდან განახორციელებს შემსყიდველი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: „ინსპექტირების ჯგუფი".

5.3 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის დაცვას;

5.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

6. მომსახურების საგარანტიო პირობა და ვადა

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და იქნება მაღალი ხარისხის.

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა განახორციელოს წუნის აღმოფხვრა (მისი შეცვლით) გამოსწორება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.3. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

6.4. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული საქონლის მიღებაზე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ საქონელი ჩაითვლება მიღებულად საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.3. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის მიწოდების შემდეგ.

7.4. საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

7.5. საქონელი (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საბუღალტრო დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 საბანკო დღეში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

9.2.2 მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.3 შემსყიდველი ვალდებულია:

9.3.1 მიიღოს მიწოდებული საქონელი;

9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;

9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

9.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი;

9.5.2 საქონლის მიწოდება განახორციელოს მიწოდების ვადებისა და ადგილის შესაბამისად;

9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;

9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;

9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

- თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, (მთლიანად ან ნაწილობრივ) თუ:

11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქონლის მიწოდების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო

შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

14. დავების გადაწყვეტა

14.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს ორი შემსყიდველს.

15.4 ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი N1, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 4 იანვრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204429494
მის: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. №2
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“
მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი – TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121

„მიმწოდებელი“
შპს "კოპოს ელექტრო"
ს/კ 206340985
მის. მოსკოვის გამზ. 31ა
ფაქტ. მის. ქიზიყის 13.
ბანკი: ქართუ ბანკი
ა/ნ GE54 CR 000000 001 975 3602

სააგენტოს უფროსის მოადგილის შემსრულებელი
_____ ნიკოლოზ დიდიძე

დირექტორი
_____ ადოლფ ტურეკი

დანართი N1

მისაწოდებელი საქონლის ჩამონათვალი

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	საერთო ღირებულება, ლარი
1	2	3	4	5	6
1.	SPL 200 F ლითონის სამონტაჟო პროფილი	ცალი	70	12.36	865.2
2.	SPL 400 F ლითონის სამონტაჟო პროფილი	ცალი	25	16.65	416.25
3.	SPL 600 F ლითონის სამონტაჟო პროფილი	ცალი	10	20.8	208
4.	KZI 60X300XO,75 S ლითონის პერფორირებული საკებელე არხი	მეტრი	108	14.10	1522.8
5.	O 90X60X300 S საკაბელე არხის ჰორიზონტალური კუთხე, 90 გრადუსი	ცალი	4	26.7	106.8
6.	KO 90X60X300 S საკაბელე არხის ვერტიკალური კუთხე, 90 გრადუსი	ცალი	1	19.85	19.85
7.	S10X30 ZNCR 10მმ. ქანჩი	ცალი	100	0.27	27
8.	KKZ 10 ZNCR 10მმ. სამონტაჟო მასრა	ცალი	200	1.05	210
9.	S 10X20 ZNCR 10მმ. ქანჩი	ცალი	300	0.18	54
10.	PM 41 M 10 ZNCR 10მმ. ჭანჭიკი	ცალი	210	0.72	31.5
11.	NSM 6X10 ZNCR 10 მმ. ჭანჭიკი-ქანჩის კრებული	ცალი	200	0.15	30
12.	OH 60X300 S განშტოება	ცალი	2	20.45	40.9
	სულ ჯამი				**3532.3 ლარი**

„შემსყიდველი"
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური
კავშირგაბმულობის სააგენტო"

ნიკოლოზ დიდიძე
სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

„მიმწოდებელი"
შპს "კოპოს ელექტრო"

ადოლფ ტურეკი
დირექტორი

ა ქ ტ ი N106/1

შესრულებული შესყიდვის მიღება – ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 30.11. 2015 წ.

სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“ (შემდგომში – „შემსყიდველი”)

და

შპს „კოპოს ელექტრო“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“) ვადგენთ აღნიშნულ აქტს შემდეგზე:

1.„მიმწოდებელმა“ გადასცა ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო 2015 წლის 30 ნოემბრის N106 (კრიზ-14) ხელშეკრულების დანართი N1-ის ფარგლებში, შესყიდვის კლასიფიკატორის კოდით: **44300000** (კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები) განსაზღვრული, ***3532,30 (სამი ათას ხუთას ოცდათორმეტი ლარი და 30 თეთრი)*** ლარის ღირებულების შემდეგი საქონელი:

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	საერთო ღირებულება, ლარი
1	2	3	4	5	6
1.	SPL 200 F ლითონის სამონტაჟო პროფილი	ცალი	70	12.36	865.2
2.	SPL 400 F ლითონის სამონტაჟო პროფილი	ცალი	25	16.65	416.25
3.	SPL 600 F ლითონის სამონტაჟო პროფილი	ცალი	10	20.8	208
4.	KZI 60X300XO,75 S ლითონის პერფორირებული საკებელე არხი	მეტრი	108	14.10	1522.8
5.	O 90X60X300 S საკაბელე არხის ჰორიზონტალური კუთხე, 90 გრადუსი	ცალი	4	26.7	106.8
6.	KO 90X60X300 S საკაბელე არხის ვერტიკალური კუთხე, 90 გრადუსი	ცალი	1	19.85	19.85
7.	S10X30 ZNCR 10მმ. ქანჩი	ცალი	100	0.27	27
8.	KKZ 10 ZNCR 10მმ. სამონტაჟო მასრა	ცალი	200	1.05	210
9.	S 10X20 ZNCR 10მმ. ქანჩი	ცალი	300	0.18	54
10.	PM 41 M 10 ZNCR 10მმ. ჭანჭიკი	ცალი	210	0.72	31.5
11.	NSM 6X10 ZNCR 10 მმ. ჭანჭიკი-ქანჩის კრებული	ცალი	200	0.15	30
12.	OH 60X300 S განშტოება	ცალი	2	20.45	40.9
	სულ ჯამი				**3532.3 ლარი**

და აიღო ვალდებულება „მიმწოდებელს“ უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადაუხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

2. მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს ***3532,30 (სამი ათას ხუთას ოცდათორმეტი ლარი და 30 თეთრი)*** ლარს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
„შემსყიდველი“ სსიპ “სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო”. საიდენტიფიკაციო კოდი:204429494 მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003 ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022 ბანკის კოდი – TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121	„მიმწოდებელი“ შპს "კოპოს ელექტრო" ს/კ 206340985 მის. მოსკოვის გამზ. 31ა ფაქტ. მის. ქიზიყის 13. ბანკი: ქართუ ბანკი ა/ნ GE54 CR 000000 001 975 3602
სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
_____ ნ. დიდიძე	_____ ადოლფ ტურეკი
(ბ.ა.)	(ბ.ა.)

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

30.11. 2015 წელი

ქვემოთ ხელმომწერები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (შპს „კოპოს ელექტრო“ CPV კოდი: 44300000). ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით და ამავდროულად ვიზირებას ვაძლევთ ამ ხელშეკრულებას.

სატენდერო კომისია:

1. ნ.დიდიძე

2 ზ.ლომიძე

2. მ. სამნიაშვილი

4 დ.ჯანელიძე

5 ნ.ფეიქრიშვილი

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი ნიკოლოზ დიდიძე